29/1919 5_

კოლო

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, თებერვლის 20.

(თებერვლის 7).

1919 წელი.

ᲤᲐᲡᲘ 50 ᲙᲐ�პ.

№ 36.

ᲧᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲕᲔᲚᲐᲓ!

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ **ᲙᲚᲓᲔ**

გამოდის **გრიგოლ ვეშაპელის** რედაქტორობით

გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი, ცალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მორიგებით;

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაშია, ხახახლის ქ. № 5

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 18—31.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝ�თᲔᲙᲐ

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ათინის ხაგენტოს ცნობით სტამბოლში ხაბეჭრძნეთის ჯარი შევიდა.

გამოქვეყნდა ხალხთა ლიგის პირობათა ტექსტი.

გერმანელი ქალები პროტესტს აცხადებენ მოკავშირეთა სიმკაცრისა და ბლოკადის წინააღმდეგ.

ჩრდილოეთ კავკასიაში მოხალისეთა ჯარი ბოლშევიკებს ამარცხებს.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ

იწვევს მოხალისეებს ახალციხეში მოდალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად!

მამულიშვილნო, ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა!

ᲛᲝᲛᲘᲣᲐᲠᲔᲗ ᲗᲐᲕᲘ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ!

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა.

მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობა.

ლეგიონის სარდალი **ლეო კერეხელიძე.**

თფილისი, თებერვლის 20. (7)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ.

საარჩევნო კომპანია დასრულდა. მიუხედავათ იმისა, რომ დღევანდელი არჩევნები მოკლებულია ყოველგვარ კანონიერებას, ბევრისთვის მაინც საინტერესო ხდება არჩევნების შედეგი.

საკმარისია, გაიგონ რომელიმე საკანდიდატო სიის მიერ ათასობით მიღებულ ხმის მრავალრიცხოვანობა, რომ დარწმუნდენ მის „ბრწყინვალე“ გამარჯვებაში. თქმულა „ხმები კი არ უნდა დაითვალოს არამედ უნდა აიწონოს“, მაგრამ ამ თქმას დღეს ანგარიშს აღარავინ უწევს. დღეს მხოლოდ ხმების დათვლაშია საქმე.

ამ მხრივ დღევანდელი არჩევნები საოდავ სურათს წარმოადგენს. ყველასათვის ცხადი უნდა იყვეს, რომ დღევანდელი ამომრჩეველი შეუგნებლად ან და უკეთეს შემთხვევებში ვისიმე ძალდატანებით აძლევს ხმებს ამა თუ იმ საკანდიდატო სიას და უფრო კი სოციალ-დემოკრატიას. დღეს განსაკუთრებით სოფელში ამომრჩეველთა უმრავლესობა თავბრუდასხმულია საკანდიდატო სიების სიმრავლით და არ იცის თუ რომელს მისცეს ხმა. რომელი უფრო შეეფერება მის სულისკვეთებას, მის კეთილდღეობას.

ბუნებრივია, რომ უმრავლესობა ამომრჩევლებისა არ არის გამორკვეული შექმნილ მდგომარეობით და ამიტომ ყველას შეუძლია გავლენა მოახდინოს მასზე, ნებით თუ ძალით. ამ მხრივ, როგორც ყოველთვის დღესაც საგრძნობლად ისარგებლეს სოციალ-დემოკრატიის უპასუხისმგებლო აგენტებმა, ხალხზე ძალდატანებით გაამარჯვებინეს „პროლეტარულ“ პირველ ნომერს. სოფლად, თუ ქალაქად უხეში მუქარით და უმგვანო პროპაგანდით ნავარდობდენ ეს „ქვეყნის მხსნელი მოციქულები“. ამის მაგალითები ჩვენ ბევრი ვიცით, ხოლო უმეტეს შემთხვევაში შეიძლება ნამდვილი ფაქტებით დამტკიცება.

ჩვენ ვიცით, რომ შორაპნის სამაზრო საარჩევნო კომისიაში მრავალი წერილობითი პროტესტებია მაზრაში არჩევნების უკანონოდ ჩატარების შესახებ.

ჩვენ ხელთა გვაქს უტყუარი საბუთები, რომ ბევრს იმერეთის სოფლებში საარჩევნო ყუთებთან სრულიად არ ყოფილა საამომრჩევლო ბიულეტენები გარდა პირველი ნომრისა. ჩვენ დავამტკიცებთ, რომ იმერეთის ერთერთ სოფელში, საარჩევნო კომისიაში არ დაუშვეს ჩვენი წარმომადგენელი. კომისიის წევრებმა თვით თავმჯდომარემ საჯაროდ დახიეს და დასწვეს ბიულეტენები № 8.

ჩვენ დავამტკიცებთ, რომ სოფ. ილემში გლეხებმა მოითხოვეს № 8 და კომისამ უარით უპასუხა. კომისის თავმჯდომარემ ყოფილმა სოფლის მამასახლისმა აშკარა აგიტაცია გასწია პირველი ნომრის სასარგებლოდ. კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა დღევანდელ არჩევნების არა კანონიერებაზე, რომლითაც ამომრჩევლებს უსპობდენ საშუალებას ესარგებლნათ ნამდვილ მოქალაქობრივი უფლებებით. ამ რიგად მუქარამ ძალმომრეობამ, და უსამართლობამ გაამარჯვებინა პირველ ნომერს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

შრომის ბირჟის დღე.

შრომის ბირჟის კომიტეტი 7 მარტს აწყობს „უმუშევართა დღეს“. ამ დღეს ყველა თეატრები და სინემატოგრაფები დახმარებას უწევენ უმუშევართა თანხას.

ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“.

გამოვიდა და იყიდება საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორგანო, ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“ 1919 წ. № 1.

საქართველოს ბამბა

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს რამდენიმე პირმა ნებართვა სთხოვა საქართველოდან ბამბის გასაზიდათ, რაზედაც უარი მიიღეს, რადგან თუმცა საქართველოში ბამბა ბევრია, მაგრამ თვით საქართველოსთვისა იგი საჭირო გავრცელებულ ავათმყოფობის გამო.

დარიალის ბრძოლის ნადავლი.

დარიალის ხეობაში თებერვლის 16 ბრძოლაში, როდესაც ბოლშევიკები ჩვენი საზღვრის გადმოლახვის სცდილობდენ ჩვენმა სადარაჯო რაზმმა ბოლშევიკებს წაართვა: 1 ჯავშნიანი ავტომობილი, 7 საველე ზარბაზანი 4 ცალი, 586 ხაზიანი გაუბიცა, 54 ტყვიისმფრქვეველი, რამდენიმე ათასი თოფი, ტყვია წამალი და სხვა ქონება.

ბათუმის ოლქის მცხოვრებთა ყრილობა.

ამ დღეებში ბათუმში შესდგება ბათუმის ოლქის მცხოვრებთა წარმომადგენელების ყრილობა ოლქის მთავრობის გამოცვლის შესახებ განზრახულია ახალი მთავრობის არჩევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნების შუამდგომლობა.

ელინთა ეროვნულმა საბჭომ სთხოვა ინგლისის მისიას, დახმარება აღმოუჩინოს მას ამიერკავკასიაში მცხოვრებ ბერძენთათვის სურსათის შემოზიდვაში.

სამხედრო მინისტრის დაბრუნება.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე დაბრუნდა ქუთაისიდან, სადაც ის წასული იყო სამსახურის საქმეების გამო.

ნ. ელიავა.

ხმები დადის, რომ თფილისის ყოფილი ქალაქის მოურავს ახალ თანამდებობაზე ნიშნავენ. ამბობენ, რომ იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე აპირებენ მისი კანდიდატურის დასახლებას.

გენერალ-გუბერნატორის უფლებათა შეზღუდვა.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის შეერთებულ სხდომაზე, რომელზედაც დაესწრნენ წარმომადგენელნი სამხედრო სამინისტროისა, ქალაქის თვითმმართველობის, გარნიზონის უფროსის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალ-გუბერნატორის და მილიციის უფროსის, დადგენილ იქმნა საჩქაროთ გენერალ-გუბერნატორთან კოლეგიის დაარსება, რომლის უთათბიროთაც გენერალ-გუბერნატორს ნება არ აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი და ბრძანებანი, რომელნიც კი ქალაქის თავდაცვას შეეხება. ამ კომისიაში შედიან თითონ წარმომადგენელნი მთავარ შტაბიდან, სახალხო გვარდიიდან, ქალაქის თვითმართველობიდან და სამხედრო სამინისტროსი.

ეს დადგენილება ეცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

როგორც გადმოგვცეს და განზრახულია თფილისის გენ-გუბერნატორის მიერ უკვე გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა და ბრძანება გადასინჯვა.

ფელეტონი.

სოციალისტური რესპუბლიკა

გერმანიის რაიხსტაგის წევრის

რიხტერის კრიტიკა

თავი XXIII

საერთაშორისო მდგომარეობის გართულება.

მთელი სამხედრო ფლოტი, რომელიც უწინდელმა მთავრობამ დაგვიტოვა, საჩქაროდ ემზადება მოქმედებისათვის. მხედრობა, რომელიც შინაურ წესიერების დასამყარებლად და გარეგან საშიშრობის ასაცილებლად 500,000 კაცისაგან შესდგებოდა, ახალ კანცლერის წინადადებით კიდევ უფრო ძლიერდება უცხო სახელმწიფოთა შიშის მოლოდინში.

საგარეო საქმეთა მინისტრმა საკანონმდებლო კომისიაში, სიტყვა წარმოსთქვა ამის შესახებ და განაცხადა, რომ რადგან უცხო სახელმწიფოებთან მატულობს უთანხმოება და კონფლიკტი, ყველა ეს, სამწუხაროდ, საჭიროდ ხდის ამ ზომების მიღებას ქვეყნის უზრუნველსაყოფელადო. ამიტომ საგარეო საქმეთა სამინისტროს საყვედური არ დაუმსახურებიაო, გასოციალისტებულ საზოგადოებაში უკანასკნელის მიზანი უნდა იყოს შუამავლობა გასწიოს საქონლის გაცვლა-გამოცვლაში უცხო სახელმწიფოებთან. ამიტომ ყველა საჩივრების გადაწყვეტა, რომელიც საქონლის უვარგისობას, ან დროზე მოუტანლობას შეეხება, დიპლომატიურის გზით გვიხდება. გამწვავებული დამოკიდებულება, რომელიც წინანდელ წესწყობილების დროსაც ხდებოდა საქმიან ურთიერთობისა ან მისი შეწყვეტის გამო, ეხლა გადადის საერთაშორისო დამოკიდებულების სფერაში. ეს ბუნებრივი შედეგია ახალის წესისა.

მაგრამ, როგორც სამართლიანად ამბობდა საგარეო საქმეთა მინისტრი, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიულმა შეგნებამ, ყველა ერთა ძმობის გრძნობამ სრულიად სხვაგვარი დამამშვიდებელი და შემარიგებელი გავლენა უნდა მოახდინოს. საქმით ეს ასე არ არის. რასაკვირველია, ეს გასაკვირველიც არაა ინგლისელთა შესახებ, ამ ეგოისტ მანჩესტერნელებისა და მათი მონათესავე ამერიკელების შესახებ, რომელთაც არა სურთ იწამონ სოციალ-დემოკრატია. ისინი ვერ შერიგებიან იმას, რომ სოციალ-დემოკრატიულმა ქვეყანამ ევროპაში, მოსპო-რა ყველა სახელმწიფო ქალალდები, აქციები და სხვა, თავი გაინთავისუფლა აგრეთვე ამ ქალალდების მეპატრონემ ინგლისის მოვალეებისაგან. მაგრამ ამ გამობრძმენდილ კაპიტალისტებისთვისაც უნდა ცხადი ყოფილიყო, რომ გერმანიამ ამ ვალდებულების გაუქმებით უფრო მეტი მილიარდები დაჰკარგა, ვიდრე მოიგო სხვა სახელმწიფოებისაგან, რადგან ყველა ის ქალალდები, რომელნიც რუსეთისა, ავსტრიისა უნგრეთისა, იტალიისა და სხვ. გერმანელ მოქალაქეებს ეკუთვნოდით, იქაურ მთავრობათაგან ძალა დაკარგულათ და გაუქმებულად გამოცხადებული არის.

მართალია, ხსენებული სოციალ-დემოკრატიული მთავრობებიც არ არიან ჩვენი, ნემცების მადლობელნი იმიტომ რომ საერთაშორისო მნიშვნელობის უმაღლესის შეგნებით ჩვენ უყოყმანოდ მივიღეთ ჩვენი უფლების გაუქმება უცხო სახელმწიფოთა ქალალდების პროცენტების მიღებისა. ეს სოციალ-დემოკრატიული მთავრობები თავის უკიდურეს ეგოიზმით იქამდე მიდიან, რომ იმ საქონელს, რომელიც ეხლა გერმანიას ესაჭიროება და რომელშიაც წინად ჩვენს კუპონებს ვაძლევდით, თუ არ ნაღდ ფულზე, ან სხვა საქონელზე გაცვლით, ისე არ გვაძლევენ. ფულის ნაღდათ გადახდა უხერხული არ იყო ჩვენის მთავრობისათვის, სანამდი ბალანსის სისწორისათვის ჯერ კიდევ შეეძლო ოქროსა ან ვერცხლის ძლევა ფულათ

დანიკინელეგი ფოთში.

16 თებერვალს საღამოს საათის 7-ზე ფოთის ნავთსადგურში შემოვიდა მოხალისეთა ჯარის გემი. (გემის სახელი დამახინჯებულია) გემზე აღმოჩნდა მოხალისეთა არმიის აფიცრები და 50-მდე ჯარის კაცი გემს თან ჩამოყვა ბლომად გერმანიის ტყვეობიდან დაბრუნებული ქართველები, რუსი და სომეხი ჯარის კაცები. გემი დატყვევებულ იქმნა, მოხალისეებს იარაღი აყარეს და ციხეში ჩასვეს. გემზე აღმოჩნდა დიდძალი პურის ფქვილი და სხვა სანოვაგე. აღმოჩნდა აგრეთვე ბევრი სამხედრო მასალა ყუმბარები, ნაღმები, ხელის ბომბები და თოფის პატრონები. მარტო პატრონების რაოდენობა შეადგენს 300,000. ყველა ამას კონფისკაცია უქნეს. აფიცერთა დაკითხვით გამოირკვა, რომ გემი მიდიოდა ბათუმში, საიდანაც მთელი ეს სანოვაგე და სამხედრო მასალა უნდა გადაეგზავნათ თურქესტანში გენერალ ლიტვინოვის რაზმისათვის. რომელიც, როგორც ხმებია, სდგება ბათუმში. ერთმა აფიცერთაგანმა, პოლკოვნიკმა ხრომისმა განაცხადა, რომ გენ. ლიტვინოვის რაზმს არავითარი დამოკიდებულობა მოხალისეთა ჯართან არა აქვსო.

ქალაქის საბჭო.

თებერვლის 16 სხდომა.

(დასასრული).

საბჭო ირჩევს კომისიებს. სოც.-დემოკრატების წინადადებით არჩეულ იქნა მხოლოდ 7 კომისია: საფინანსო საბიუჯეტო—15 წევრი, სარევიზიო—11 წევრი, სამეურნეო—სასურსათო—9 წევრი, ჯანმრთელობის—ყველა ექიმი ხმოსნები, იურიდიული კომისია—ყველა იურისტი ხმოსნები და ტექნიკური—ყველა ტექნიკოსი ხმოსნები. ირჩიეს აგრეთვე 9 წევრი სარეკომენდაციო კომისია. დანარჩენ კომისიების არჩევა გადაიდო.

სარეკომენდაციო კომისიას დაევალა მომრიგებელ მოსამართლის 9 თავისუფალ ადგილზე კანდიდატების დასახელება,

შ. მაქედაძე მოხსენებას „კითხულობს სახადის შესახებ. მომხსენებელის სიტყვით სახადის გავრცელებას ძალიან ხელს უწყობდა საეპიდემიო ექიმების სიმცირე და სხვა და სხვა გარემოება და საჭიროა 6 ახალი ექიმის მოწვევა რამდენიმე ხმოსანმა აღნიშნა, რომ სანიტარული საქმე ვერ არის კარგად დაყენებული და მოყავთ მაგალითები იმისა, რომ სანიტარული პერსონალი ვერ იჩენს სათანადო ყურადღებას ხენთან ბრძოლისადმი..

საბჭო ადგენს მოწვეულ იქნეს 6 ახალი საეპიდემიო ექიმი. სანიტარები და სავსებით და სათანადოთ იქნეს განხორციელებული ყველა ზომები სახადთან საბრძოლველად.

ქალაქის ფინანსიური მდგომარეობის განხილვა შემდეგისთვის გადაიდო, როცა დაბეჭდილი იქნება უკვე მასალები.

ღამის 11 საათზე არშაკ ზურაბოვს შეაქვს შეკითხვა ავჭალის წყალსადენიდან 41 სომეხი მუშის დათხოვნის შესახებ. შემკითხველს უპასუხებს ნ. ელიავა და ნოე ჟორდანია და ბესელიძე. ირკვევა. რომ სომხებთან ამის დროს დაუთხოვიათ არა 41, არამედ 28 სომეხი მუშა ავჭალის წყალსადენიდან.

საბჭო იღებს ნ. ჟორდანიას მიერ წარმოყენებულ რეზოლუციას: დაევალოს ქალაქის გამგეობას ზომები მიიღოს მუშების ქალაქის სამსახურში დასაბრუნებლათ

არ. ზურაბოვი. ხაზს უსვამს იმ გარემოებას რომ მილიცია უდიერათ ეპყრობოდა მუშებს, როდესაც მათ ავჭალაში სახაზინო ბინებიდან ასახლებდენ და ნებაც კი არ მისცეს მეზობლებთან გადასულიყვნენ დროებითაო.

ეგ. ბეგეჩკორი. შემოაქვს დამატება: „მიენდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოიძიოს მილიციის საქციელი მუშების ბინებიდან განდევნის დროს“.

ნ. ელიავა. ამის წინააღმდეგია, რადგან უხერხულად სცნობს სამინისტროს ასეთი დავალება მიეცეს და წინადადებას იძლევა მხოლოდ ეცნობოს მას მილიციის საქციელის შესახებ.

ლის მიზანი უნდა იყოს შუამავლობა გასწიოს საქონლის გაცვლა-გამოცვლაში უცხო სახელმწიფოებთან. ამიტომ ყველა საჩივრების გადაწყვეტა, რომელიც საქონლის უვარგისობას, ან დროზე მოუტანლობას შეეხება, დიპლომატიურის გზით გვიხდება. გამწვავებული დამოკიდებულება, რომელიც წინანდელ წესწყობილების დროსაც ხდებოდა საქმიან ურთიერთობისა ან მისი შეწყვეტის გამო, ეხლა გადადის საერთაშორისო დამოკიდებულების სფერაში. ეს ბუნებრივი შედეგია ახალის წესისა.

მაგრამ, როგორც სამართლიანად ამბობდა საგარეო საქმეთა მინისტრი, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიულმა შეგნებამ, ყველა ერთა ძმობის გრძნობამ სრულიად სხვაგვარი დამამშვიდებელი და შემარიგებელი გავლენა უნდა მოახდინოს. საქმით ეს ასე არ არის. რასაკვირველია, ეს გასაკვირველიც არაა ინგლისელთა შესახებ, ამ ეგოისტ მანჩესტერნელებისა და მათი მონათესავე ამერიკელების შესახებ, რომელთაც არა სურთ იწამონ სოციალ-დემოკრატია. ისინი ვერ შერიგებიან იმას, რომ სოციალ-დემოკრატიულმა ქვეყანამ ევროპაში, მოსპო-რა ყველა სახელმწიფო ქალალდები, აქციები და სხვა, თავი გაინთავისუფლა აგრეთვე ამ ქალალდების მეპატრონემ ინგლისის მოვალეებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოე რამიშვილი. აღშფოთებით მიმართავს ე. გეგეჭკორს და ამბობს, როგორ შეიძლება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიანდოთ ისეთი ჭორის გამოძიება, რომლისთანაც ათასობით იბეჭდება გაზ. „სოციალ-დემოკრატის ფურცლებზე“ თუ მაინც ბ მაინც ეს ჭორი ჭეშმარიტებათ მიგაჩნიათ დე, თვით ქალაქის გამგეობამ გამოიძიოს ბ თუ დამტკიცდა, მაშინ ეცნობოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაო.

ე. გეგეჭკორი თხოულობს სიტყვას, მაგრამ, რადგან მან 2 ჯერ უკვე ალაპარაკა, ხოლო რეგლამენტით მესამეთ ლაპარაკის ნება არა აქვს, სიტყვა არ მისცეს.

საბჭომ მიიღო ნ. რამიშვილის დამატება. მის წინააღმდეგ ხმა მისცეს მხოლოთ ზურაბოვმა, ე. გეგეჭკორმა და ნ. ჟორდანიამ.

კრების დასასრულ საბჭოს თავმჯდომარემ ყოფილ ქალაქის მოურავს ნ. ციავას მადლობა გადაუხადა მოურავობის დროს ნაყოფიერ მუშაობისათვის.

შანი

უცხოეთის ამბები

ტელეგრამები.

საქართველოს საგენტოსი.

გენ. ფოში და გერმანია.

მარშალ ფოშმა გერმანიის დელეგატებს აუწყა დროებითი ზავის გაგრძელების პირობები, რომელიც თებერვლის 17-დან შევა ძალაში: გერმანულ ჯარებს ეკრძალებათ პოზნანის პროვინციის საზღვრის გადალახვა. ფოშმა არ შეიწყნარა გერმანიის შუამდგომლობა, რომ მათ 24 საათი მისცემოდათ პასუხის წარმოსადგენათ.

ხალხთა ლიგა.

ვილსონმა დეპეშით სთხოვა ამერიკის კონგრესის საგარეო საქმეთა კომისიას გადადოს კა-

მათი ხალხთა ლიგის შესახებ, იმ დრომდე, სანამ ის შესძლებს ლიგის ხელშეკრულების ყოველი მუხლის განმარტებას,

საჰაერო გზა

ჰავახის სააგენტო იუწყება, რომ განზრახულია ქაირსა და კალკუტას შუა გაზაფხულზე ყოველკვირეული საჰაერო მიმოსვლა მოეწყოს. საჰაერო გზა მომავალში ასეთი იქნება: კრეიდონი-ბრიუსელი-კელნი მოსკოვი კასპიის ზღვა კონდაგარი მულეტანი.

მოხალისეთა ჯარის წინსვლა.

მოხალისეთა ჯარი კავკასიაში ბოლშევიკებს ამარცხებს და სწრაფად წინ მიიწევს მდ. თერგის ორივე ნაპირებით კავკავისკენ.

ამერიკა და ხალხთა ლიგა.

ხალხთა ლიგის დაარსების გამო ამერიკის ეკლესიებში და სინაგოგებში სიტყვები წარმოითქვა.

დამის სხდომები ამერიკის სენატში.

დემოკრატ-სენატორებმა გადასწყვიტეს შემოიღონ სენატში დამის სხდომები სენატის დათხოვამდე იმ მიზნით, რომ წესრიგში მოიყვანონ დაგროვებული კანონმდებლობანი. სხდომები საათით ადრე დაიწყება.

ლონდონი და კანადა.

გუშინდელ მიტინგზე ლონდონში ლორდ ბრიკემ კანადელების მიმართ სიტყვაში სთქვა: „განგებამ ბრიტანია აირჩია იმ რასათ, რომელიც ყველა სხვა ხალხზე უფრო ზრუნავს მუშებისთვის. მრავალი თქვენგანი ბრუნდება სამშობლოში იმ შეგნებით, რომ მონაწილეობდენ არა მარტო სახელმწიფოს, არამედ კიდევ ცივილიზაციის გადარჩენაში.“

გერმანელი ქალები და ბლაკადა

გერმანიის დამფუძნებელ კრების წევრ ქალებმა გამოაქვეყნეს განცხადება, მოითხოვენ დაუყოვნებლივ შესწყვიტონ შიმშილს ბლოკადა და დააბრუნონ სამშობლოში გერმანელი სამხედრო ტყვეები.

ბალკანეთი და გერმანია

ბალკანეთის ლანდტაგმა ერთხმათ მიიღო გერმანიასთან შეერთების რეზოლიუცია.

ერცბერგის განცხადება

დროებითი ზავის კომისიაში მოლაპარაკების დროს, დროებითი ზავის ვადის გაგრძელების შესახებ, ერცბერგმა სხვათაშორის სთქვა: დროებითი ზავის გაგრძელებას მიზნათ აქვს ზავის გადადება. იმ დროს, როცა გერმანია დიდ მსხვერპლს იღებს, მოკავშირეთა მთავრობები არ სცდილობენ ზავის ჩამოგდებას. 11 თებერვლამდე გერმანიამ გადასცა მოკავშირეებს 41 37 ორთქმავალ და 136500 ვაგონი. დემობილიზაციის შემდეგ გერმანიას ყავს მხოლოდ 200 ათასი ჯარისკაცი. შემდეგ ერცბერგმა პროტესტი განაცხადა, იმის გამო, რომ ელზას ლორენში ყველაფერ გერმანულს სდევნიან.

გერმანიის მთავრობა და სპარტაკელები

რეინ-ვესტფალიის სამრეველო ოლქში მუშებსა და მთავრობის ჯარს შორის დამოკიდებულება გამწვავდა. ფიქრობენ, რომ თუ გადამწყვეტი ზომები არ მიიღეს, შეტაკება აუცილებელია.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების საოლქო კონფერენციამ ესენში მოითხოვა მთავრობისაგან მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების აღდგენა, აფიცრების და გენერლების პასუხისგებაში მიცემა და მთავრობის ჯარის გაყვანა იმ ადგილებიდან, რომელიც უჭირავს მე-7 საარმიო კორპუსს. წინააღმდეგ შემთხვევაში საერთო გაფიცვით იმუქრებიან. ორი აფიცერი მძევლათ ჰყავთ.

მთავრობის ჯარის დორტენში შესვლისას გაიმართა ბრძოლა კომუნისტებთან. მთავრობის ჯარმა გაიმარჯვა. გერზენკირკენში სპარტაკელებმა ხელთ იგდეს ძალა-უფლება.

საფრანგეთი და ფინლიანდია

რუსეთიდან სამშობლოში მიმავალ ფრანგ ოფიცრების ფინლანდიის მიწა-წყალზე გავლამ

ან ზოდათ, რომელიც პლომად გვქონდა. მაგრამ მას შემდეგ რაც მთელი შემონახული ოქრო-ვერცხლი გამოგვველია, ჩვენ არა ნაკლები სიძნელე გვხდება მეზობელ სოციალ-დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ჩვენის საფაბრიკო საქონლის გასაღებისა და სამაგიეროთ ხორბლისა, ხის მასალისა, კანაფისა, ბამბისა, მატყლისა, ნავთისა, ყავისა და სხვათა შემოტანის საქმეში. გასოციალისტებულ საზოგადოებაში ამ საგნებზე მოთხოვნილება სულიაც არ შემცირებულა. პირიქით! მეზობელი სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოები კი ამტკიცებენ, რომ იმათ, გასოციალისტებულ საზოგადოების შემდე, ახლა სრულიად არ სჭირიათ გერმანულ ფაბრიკის საქონელი, როგორიც არის ახალმოდის საგალანტერეიო ნაწარმოები, არშიები, შალები, ხელთათმანები, ფორტოპიანო და სხვა სოციალური თანასწორობის დამყარების შემდეგ, თავიანთი საკუთარი ნაწარმოები საკმაოზე მეტიცა აქვთ ამ საგნებისათვის.

ბატონი ინგლისელები და ამერიკელები, ეს სოციალ-დემოკრატიის მტრები, არა სცხრებიან და არწმუნებენ ყველას, რომ გერმანული ნაწარმოები განსაკუთრებით რკინეული და ქსოვილი, ასე გასინჯეთ წინდები და სათამაშო საგნები ეხლანდელ საწარმოო საშუალებით

იმდენად ცუდათ და უგულოთ კეთდება, რომ მათ არა სურთ ძველი ფასები აძლიონ და ამიტომ სურთ ახალი ბაზარი მოსძებნონ. ჩვენი მთავრობა კი წარმოების ღირებულობის გაძვირების გამო ეხლაც ძლივს ჰფარავს ხარჯებს. ყველა შეთანხმება იმის შესახებ, რომ ყველა სახელმწიფოში შემოღებულ იქმნას მაქსიმალური სამუშაო დღე, ჩაიშალა, რადგან სოციალ-დემოკრატიული მთავრობები თავიანთ ნაციონალურ ეგოიზმით ამტკიცებენ, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს განსაკუთრებულ თვისებას ყოველი მხარისას, მის ჰავას, ხალხის ხასიათს და სხვა.

როგორ მოიქცეს ჩვენი მთავრობა. ის გარემოება, რომ საზოგადოების გასოციალისტების შემდეგ ჩვენ ჩვენის მხრით ალარ ვსაჭიროებთ აბრეშუმეულობასა და ღვინოს საზღვარ გარეთიდან შემოსატანად, ხომ ვერ დაჰფარავს მილიარდობით ხარჯს ჩვენის ქვეყნიდან გატანილ საქონლისას.

გასაკვირველი არ არის, რომ დიპლომატიურ ნოტათა ხარჯები დღითი დღე მწვავე ხდება. დასავლეთი და აღმოსავლეთი უკვე ქარაგმულად გვაგებინებს, რომ თუ გერმანიას ლონე არ შესწევს თავის მცხოვრებთა გამოკვებისა, მაშინ რამდენიმე ოლქი უნდა დაუ-

თმოს მეზობელს სახელმწიფოებს. ირჩევა კიდეც საკითხი იმის შესახებ შესაფერი იქნება თუ არა წინასწარი გადაცემა ასეთის ოლქებისა გერმანიის მეზობელ სახელმწიფოთაგან გამოტანილ საქონლის ვალების დასაფარავად.

უცხოელები, რომელთაც ზარალი ნახეს გერმანიის პროცენტიან ქაღალდების გაუქმებით, ცდილობენ აინაზღაურონ ზარალი საცა მოახერხებენ, გერმანიის საქონლისა და გემების კონფისკაციით.

დახმარება უცხო სახელმწიფოთა გემებისა გერმანიიდან გადახვეწილთა წასაყვანად მუდამ იძლევა საბაბს უსიამოვნებისას.

ერთის სიტყვით, იმის იმედი, რომ სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება მომასწავებელია სამუდამოთ საერთაშორისო მშვიდობიანობისა, ლამის საშიშროებად იქცეს სამუდამო საერთაშორისო უსიამოვნებისა. ამიტომ—ასე დააოთავა თავისი სიტყვა მინისტრმა—საკანონმდებლო კომისია აუცილებელ საჭიროებად სთვლის აღდგენილ იქმნას სამხედრო ფლოტი და გაძლიერებულ იქმნას არმიის შემადგენლობა ერთ მილიონ კაცამდე.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აგრეთვე განცეს ნავთსადგურში ფრანგულ გემების ,,ინტერნიდ''-ის და ,,ტემერ''-ის ყოფნამ ფინლანდიას შემთხვევა მისცა საფრანგეთისადმი თავისი სიმპატიები გამოეთქვა. განგეში ხალხი მიესალმა მეზღვაურებს ჰელსინგფორში ფრანგ ოფიცრების მოსვლის გამო დემონსტრაცია გაიმართა. ფინლიანდიის რეგენტმა გენ. მანერჰაიმმა მათ პატივსაცემათ გაუმართა საუზმე, რომელსაც მოკავშირეთა წარმომადგენელნი დაესწრენ. მანერჰაიმმა წარმოსთქვა სიტყვა, და სიხარული გამოსთქვა, რომ მას შეძლება მიეცა მისალმებოდა მამაც საფრანგნთის ჯარის წარმომადგენლებს. მან სთქვა; საფრანგეთმა პირველმა აღიარა ფინლიანდიის დამოუკიდებლობა და ეხლაც ინიციატივა აიღო, რომ საზავო კონფერენციას ეცნო ფინეთის დამოუკიდებლობა. ნიშნად მადლობისა საფრანგეთისადმი ბატონებო, გთხოვთ დალიოთ საფრანგეთის წარმომადგენელთა სადღეგრძელო. გაუმარჯოს საფრანგეთს".

საზავო კონფერენცია.

საბერძნეთი და დიდი სახელმწიფოები.

პარიზელ კორესპონდენტის ცნობით დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა მოისმინეს რა ვენიზელოსის მოხსენება, დაადგინეს საბერძნეთის საკითხი გადასცენ კომისიას, რომელშიც შევა ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ორ-ორი წარმომადგენელი.

რუმინია და დიდი სახელმწიფოები.

დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა აირჩიეს კომისია, რომელიც განიხილავს რუმინიის მოთხოვნილებებს.

საზავო კონფერენცია და პოლონეთ-ჩეხეთის კონფლიქტი.

დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ითათბირეს ტეშენში (?) ჩეხებსა და პოლონელებს შორის კონფლიქტზე, რომელიც შექმნა იმ მდგომარეობამ, რომ ის რაიონები სადაც ქვანახშირის მაღაროებია და გადის რკინის გზა ტეშენსა და კაბლუდკაუს შუა ჩეხელთ უჭირავს. წარმომადგენლებმა დაადგინეს: მოვაგონებთ იმ ერებს, რომელთაც საზავო კონფერენციაზე შემოაქვთ ტერიტორიალური საკითხი, რომ მათ კონფერენციის გადაწყვეტამდე არ უნდა დაიჭირონ ტერიტორია, რომლის დაჭერა ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ რაც სურთ. წარმომადგენლები ადგილობრივ ეგზავნიან კომისიას.

მეიღლება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ყოველ დღიურ გაზეთ ,,ხალხი ველდ''-ზე.

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 10 მან. | სამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი № 18—31. **კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სახახლის ქ. № 5.**

განცხადებანი:

სასულიერო მთავრობის ლოცვა-კურთხევით,

ქ. თფილისში (ავლაბარი) წმ. მაცხოვრის ფერისცვალების (დარიის) მონასტერთან

დაარსდა კერძო

სასულიერო სასწავლებელი

მოწაფეთათვის წლოვანება განუსაზღვრელია, სადეთისმეტყველო საგნების და საეკლესიო გალობის შესწავლა და აგრეთვე წირვა-ლოცვაზე მუდმივი სიარული საფალდებულოა.

სწავლის ფასი წლის ბოლომდის ჰროგიმნაზიულ კლასებში—75 მან. მოსამზადებელ კლასებში—60 მან.

წმ. მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრის წინამძღვარი და მასთან არსებულ სასწავლებლის მმართველი **არქიმანდრიტი იოანე.**

საქართველოს მეურნეთა დამიწის მესაკუთრეთა კავშირის საგზო.

ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წევრათ ჩაწერა შეიძლება ზემდეგის მისამართით: ბარიათინსკის დალმართი № ა. სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

ექიმი დ. ჯავახიშვილი

ნიბის ქ., № 14, ტელ. 14—60.

მატარეგლების მიმოსვლა

(11 თებერვლიდან)

მიდის თფილისიდან.

ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღამ.	7 საათ.	30	წ.
ხაშურიდან—ღამის	10 ს.	52	წ.
შორაპნიდან—ღამის	1 ს.	34	წ.
სამტრედიიდან—ღამის	3 ს.	50	წ.
ფოთში —— დილის	5 ს.	50	წ.
პლაკკარტის ფასი ყველა ვაგონში		20	მან.
მ. № 3 საფოსტო დილის	10 ს.	30	წ.
ხაშურიდან—დღის	3 ს.	08	წ.
შორაპნიდან საღამოს	6 საათ.		
სამტრედიიდან—საღ.	8 ს.	34	წ.
ფოთში —— ღამის	10 ს.	43	წ.
პლაკკარტის ფასი ყველა ვაგონში		10	მან.

ქუთაისში:

მ. № 9 სამგზავრო საღამოს—	10 ს.	30	წ.
ქუთაისში მივა დილის —	7 ს	21	წ.
პლაკკარტის ფასი ყველა ვაგონში		5	მან.

ბორჯომში:

№ 19 სამგზავრო დღის	3 ს.	30	წ.
გორიდან საღამოს	6 საათ.	30	წ.
ბორჯომიდან მივა საღამოს	9 ს.	27	წ.
პლაკკარტის ფასი ყველა ვაგონში		5	მან.

ბაქოში:

მ. № 4 საფოსტო ღამის	11 ს.	10	წ.
მ. № 8 სამგზავრო განჯამდე დღის	3 ს.	35	წ.
მ. № 6 სასწრაფო ყოველ დღე საღამოს 9 საათზე ბაქომდე პლაკკარტის ფასი ბაქომდე I კლ. 60 მ. II კ. 40 მ. III კ. 20 მ.			

ყარსისაკენ—ერევანში:

მ. № 4 საფოსტო დღის —	1 საათ.	40	წ.

მცხეთაში:

მ. № 61 დილის — — —	7 საათ.	37	წ.
მ. № 63 — — — — — —	დღის 3 ს.		

მოდის თფილისიდან.

ფოთიდან:

მ. № 2 სასწრაფო დილის	9 საათ.	41	წ.
ფოთიდან გამოვა საღამ.		11	ს.
მ. № 4 საფოსტო საღამოს 8 საათ. ფოთიდან გამოვა დილის 7 ს.		40	წ.

ქუთაისიდან.

№ 12 დილის — — — —	8 ს.	15	წ.
ქუთაისიდან გამოვა საღ.	10 ს.	33	წ.

ბორჯომიდან.

№ 20 დილის — — — —	7 ს.	20	წ.
ბორჯომიდან გამოვა ღამის	12 ს.	46	წ.

ბაქოდან.

მ. № 3 საფოსტო დღის — —	4 ს.	30	წ.
მ. № 3 საფოსტო დღის — —	4 ს.	30	წ.
№ 5 სასწრაფო დილის — — —	7 ს.		
№ 7 სამგზავრო განჯიდან დილის	8 ს.	30	წ.
№ 5 პლაკკარტიანია; პლაკკარტის ფასი I კლ.—60 მ., II კლ. 40 მ. III კ. 20 მ.			

ნახჩევანიდან და ყარსიდან.

მ. № 3 საფოსტო დილის —	11 ს.	30	წ.

ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში

მცხეთიდან.

№ 62 დილის — — —	11 ს.	10	წ.
№ 64 საღამოს — — —	7 ს.	20	წ.

ქართველთა ამხანაგობის სტამბა, გოლოვინის პრ. № 26. ტელეფონი 4—73.